

როგორ გავზარდოთ რთული ქცევის მქონე მოსწავლეთა ჩართულობა
საგაკვეთილო პროცესში

შორენა ალაგარდაშვილი

ეკა კიკილაშვილი

ნინო ხითარიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის განათლების ადმინისტრირების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: განათლების ადმინისტრირება (სკოლის მიმართულება)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სოფიო გორგოძე, მოწვეული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ ისეთ მასალას, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

შორენა ალაგარდაშვილი

27.06.2016

ეკა კიკილაშვილი

27.06.2016

ნინო ხითარიშვილი

27.06.2016

მადლობა

პრაქტიკული კვლევის დროს განხორციელებული კონსულტაციებისა და დახმარებისათვის განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეულ პროფესორს სოფიო გორგოძეს.

წარმოდგენილი პრაქტიკული კვლევის ჩატარების დროს გაწეული დახმარებისა და მხარდაჭერისათვის მადლობას ვუხდით ქართველ იუნკერთა სახელობის თბილისის N52 საჯარო სკოლის დირექტორს ნანა გიორგაძეს.

ასევე, მადლობას ვუხდით მუსიკის პედაგოგს მზია ტეფნაძეს და კლასის დამრიგებელს შორენა ღონღაძეს, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ჩვენი კვლევის წარმატებით განხორციელებაში, ფსიქოლოგ თამარ კერძიას, რომლის რჩევებიც დაგვეხმარა სწორი ხედვის ჩამოყალიბებაში და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელი გახდა გასვლითი გაკვეთილის ორგანიზება.

აბსტრაქტი

წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომში განხილულია ქართველ იუნკერთა სახელობის თბილისის N52 საჯარო სკოლის VIII⁴ კლასის პრობლემა, რომელიც ეხება რთული ქცევის მქონე მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდას საგაკვეთილო პროცესში.

ნაშრომი ეფუძნება პრაქტიკული კვლევის მეთოდოლოგიას და მოიცავს: პრობლემის იდენტიფიკაციის, შეგროვებული მონაცემების ანალიზის, ინტერვენციების განხორციელებისა და გაზომვის ეტაპებს.

პრობლემის იდენტიფიკაციისთვის გამოყენებულია როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი კვლევის მეთოდები, მიღებული შედეგების საფუძველზე განსაზღვრული ინტერვენციები განხორციელებულია ორი მიმართულებით. ერთის მხრივ, ჩარევა ითვალისწინებს კლასის მართვის სტრატეგიების დანერგვას საგაკვეთილო პროცესში, ხოლო, მეორეს მხრივ, აქცენტი გაკეთებულია ინტერაქტიური მეთოდების გამოყენებით გაკვეთილების დაგეგმვაზე.

განხორციელებული ინტერვენციების გაზომვის შედეგად დადგენილია, რომ წარმოდგენილ შემთხვევაში, მოსწავლეთა რთული ქცევის შეცვლაზე უფრო მეტი გავლენა იქონია სწავლების თანამედროვე მეთოდებით დაგეგმილმა გაკვეთილებმა, ვიდრე კლასის მართვის სტრატეგიების გამოყენებამ, თუმცა ამასაც ჰქონდა თავისი ახსნა, რაც ნაშრომში დეტალურადაა წარმოდგენილი.

ვფიქრობთ, კვლევის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს სკოლას არსებული პრობლემის მოგვარებაში, ასევე, ხელს შეუწყობს მომავალში მსგავსი ტიპის პრობლემათა პრევენციას.

საძიებო სიტყვები: რთული ქცევა; მოსწავლეთა ჩართულობა; ინტერაქტიული მეთოდი; კლასის მართვა.

Abstract

The subject of the following master's work is dedicated to the problem that arose in VIII⁴ grade of Tbilisi Cadet Public School's №52, which is concerned about the ways of engaging difficult students in studying process.

The work is based on action research methodology and includes: problem identification, analysis of the collected facts, implementation of interventions and stages of evaluation.

Both, quantitative and qualitative research methods, are used for problem identification. Interventions were determined on the basis of obtained results, which were implemented in two ways. On the one hand, the intervention involved to implement the classroom management strategies during the lessons and on the other hand, it's emphasized to use interactive methods in process of planning lessons.

Evaluation of implemented interventions revealed that in this particular case, lessons organized using interactive methods of teaching had bigger effect on challenging behaviour of students than the use of classroom management strategies, which, however, had its own explanation, which is revealed in detail in the work.

On our mind the recommendations that were obtained from the research will significantly help the school to deal with present problem, and also will contribute to the future prevention of similar problems.

Key Words: challenging behavior, student engagement, interactive methods, classroom management.